საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის
აპარატის უფროსის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 116

2022 წლის 25 ივლისი ქ. ბათუმი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის ბალანსზე არსებული ავტომანქანის ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიისათვის გადაცემის შესახებ

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის 2022 წლის 22 ივლისის N 128-1282220395 კორესპონდენციის გათვალისწინებით, „სახელმწიფო, აფხაზეთის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ან საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობაში გადაცემის შესახებ მიმართვის წარდგენის, მისი განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების თაობაზე" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2010 წლის 28 დეკემბრის №63 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-4 მუხლისა და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2007 წლის 3 აპრილის №42 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად,

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის ბალანსზე რიცხული, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული ავტომანქანა: „HYUNDAI SANTAFE", ძრავა 3498, გამოშვების წელი - 2011, სახელმწიფო ნომერი „XV-011-VX", საიდენტიფიკაციო N KMHSH81GDCU845332, საბალანსო ღირებულება - 21 464 ლარი, დარიცხული აკუმულირებული ცვეთა 2022 წლის 1 აგვისტოსათვის – 4 248,68 ლარი, არსებობის ვადით, უსასყიდლოდ სარგებლობაში გადაეცეს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიას.

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის საფინანსო უზრუნველყოფისა და ლოჯისტიკის დეპარტამენტის უფროსის მოადგილეს, პაატა კაიკაციშვილს მიენიჭოს უფლებამოსილება, ხელი მოაწეროს ბრძანების პირველ პუნქტში მითითებული ავტომანქანის გადაცემასთან დაკავშირებით შედგენილ მიღება-ჩაბარების აქტს და შეასრულოს ყველა საჭირო მოქმედება სსიპ – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოში, ავტომანქანის ხელვაჩაურის

უნიციპალიტეტის მერიის სარგებლობაში გადაცემასა და რეგისტრაცისთან დაკავშირებით.

3. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის საფინანსო უზრუნველყოფისა და ლოჯისტიკის დეპარტამენტმა (ლ. ხომერიკი) უზრუნველყოს, ბრძანების პირველ პუნქტში მითითებული ავტომანქანის გადაცემასთან დაკავშირებით, კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარება.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

ჯაბა სურმანიძე

4428-02-2-202207261057